დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 17

13 დეკემბერი 2019 წელი ქ. დმანისი

სხდომას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი:

1. მერაბ ოქრიაშვილი
2. გუსეინ ისმაილოვი
3. ალექსანდრე დაუთაშვილი
4. სოფიო ასლამაზაშვილი
5. გოგი ციხელაშვილი
6. კახა პეტრიაშვილი
7. თეიმურაზ აფრასიძე
8. მურაზი აბრამიშვილ
9. ფირუზა ციხელაშვილი
10. თორნიკე ნინიაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ ციხელაშვილი
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომის თავმჯდომარე: დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მერაბ ოქრიაშვილი

სხდომის დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**ს. ასლამაზაშვილი**

2	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**მ. აბრამიშვილი**

3	**განკარგულება:** ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალიწწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის თაობაზე '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის07 ნოემბრის №71 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
მომხსენებელი:	**თ.აფრასიძე**

4	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის №62 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სხდომის თავჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები.

1.მომხსენებელი : სოფიო ასლამაზაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 9738.8 ათასი ლარით, ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1985.0 ათასი ლარით,

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 55.6 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2018 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის სასეხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 108.0 ათას ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 195.4 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 685,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 718,2 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 903,8 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4477,5 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვოროს 4087.5 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 4087.5 ათასი ლარით.

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 5859.4 ათასი ლარით:

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 130.0 ათასი ლარით:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 577,2 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

დმანისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და დმანისის მუნიციპალიტეტის

კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემლების ანაზღაურება2020 წლის განმავლობაში დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

დავალიანებების ანაზღაურება მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 02 02-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2020 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 130,0 ათასი ლარი მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფებამოსილების განსახორციელებლად.

ა) ,, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 52,2 ლარი.

ბ) ,, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 75,8 ლარი.

გ) ,, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2,0 ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების

სარეზერვო ფონდი 2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 120,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

ამრიგად დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 9738.8 ათასი ლარით

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად დადგენილების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

2.მომხსენებელი: მ. აბრამიშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ, სულ 7 პროგრამა ესენია:

1. **დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარების 2020 წლის მუნიციპალური პროგრამა**

პროგრამის მიზანია დიალიზის საჭიროების მქონე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მატერიალური დახმარების გაწევა.

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის საჭიროების მქონე პირები.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანასური დახმარების სახით ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება დიალიზის საჭიროების მქონე პირებისათვის თანხის პირად ანგარიშზე ჩარიცხვით.

. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

დიალიზის საჭიროების მქონე პირმა პროგრამით სარგებლობისათვის შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტის მერს, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

ა) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ბ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა N100, სადაც მითითებულია რომ პირი საჭიროებს დიალიზით მკურნალობას;

გ) პირადი საბანკო რეკვიზიტები;

2. **ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2020 წლის მუნიციპალური პროგრამა.**

პროგრამის ამოცანაა ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებული პირების ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ავთვისებიანი სიმსივნით და C ჰეპატიტით დაავადებული პირები.

2. ცალკეულ შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მიანიჭოს პირს პროგრამით სარგებლობის უფლება, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს **200** (ორასი) ლარს.

. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

გ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა N 100;
დ) პირადი საბანკო რეკვიზიტები;

3. **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარების 2020 წლის მუნიციპალური პროგრამა**

პროგრამის მიზანია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებთან ერთად უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პირები;

1. პროგრამით მოსარგებლეთათვის გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები:

ა) ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ოჯახები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000 ქულის ჩათვლით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა;

ბ) იძულებით ადგილნაცვალი პირები და მათი ოჯახის წევრები;

გ) ობოლი არასრულწლოვანი ბავშვები;

დ) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

ე) 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

ვ) ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები (საჭიროების შესაბამისად);

ზ) C ჰეპატიტით დაავადებული პირები (საჭიროების შესაბამისად);

თ) 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებსაც ესაჭიროებათ ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის კურსები.

ბენეფიციარების დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

სტაციონარულ, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის მკურნალობის დაფინანსება ხორციელდება სრულად არა უმეტეს 1000 (ათასი) ლარისა;

4. **ტრანსპორტით მომსახურების 2020 წლის მუნიციპალური პროგრამა**

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან:

ა) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტები (ინფორმაციის წყარო - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო);

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსინათლოები (ინფორმაციის წყარო - საქართველოს უსინათლოთა კავშირი);

გ) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ვეტერანები (კოდი – 100, 111, 112, 113, 200, 300, 311, 312, 313, 500, 501, 800), ინფორმაციის წყარო - სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური);

დ) დიალიზის საჭიროების მქონე პირები (რომლებიც სარგებლობენ დმანისის მუნიციპალიტეტის ,,დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარების 2020 წლის მუნიციპალური პროგრამით").

ტრანსპორტის გადადგილების მიმართულება

ა) ქ. დმანისიდან ქ. თბილისის და ქ. თბილისადან ქ. დმანისის მიმართულებით გადაადგილება [illegible] ერთი მიმართულებით გადაადგილება ქ. დმანისიდან ქ.

ბ) სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ტრანსპორტის გამოყოფა მოხდეს საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით.

გ) საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა მხარეში გამართულ კულტურულ, სოციალურ, სპორტულ და სხვა ღონისძებებში ჩართულობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა განხორციელდეს საჭიროების შესაბამისად;

დ) სამუშაო დღეებში მოსახლეობის შიდა მუნიციპალური გადაადგილებისათვის სოფელი პატარა დმანისი - ქ. დმანისის და ქ. დმანისი - სოფელ პატარა დმანისის მიმართულებით ტრანსპორტით უზრუნველყოფა;

ე) ცალკეულ შემთხვევებში ტრანსპორტის გამოყოფა განხორციელდეს მერის გადაწყვეტილების საფუძველზე;

ვ) მე-3 მუხლის ე) ქვეპუნქტში მითითებული შემთხვევის დაფინანსება განხორციელდეს მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში გამოიცეს მერის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ტრანსპორტის გამოყოფის შესახებ.

5. ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების 2020 წლის მუნიციპალური პროგრამა

პროგრამის ამოცანაა ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება.

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებული პირები.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით.

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, წლის განმავლობაში ერთ მოსარგებლეზე არა უმეტეს **2 000** (ათასი) ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1) შესაბამისი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

2) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

3) ანგარიშ - ფაქტურა შესაბამისი კვების პროდუქტების მიმწოდებელი ორგანიზაციიდან;

4) პირადი საბანკო რეკვიზიტები.

6. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობი შეშით ან ბიოსაწვავი „ბრიკეტით“) უზრუნველყოფის 2020 წლის მუნიციპალური პროგრამა

პროგრამის ფარგლებში წელიწადში ერთხელ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა პენსიონერებს, იძულებით გადადგილებულ პირთა მარჩენალ დაკარგულ ოჯახებს, იძულებით გადადგილებულ პირთა შშმ პირების ოჯახებს საშუალება ეძლევათ ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, გათბობის მიზნით, მუნიციპალიტეტიდან დახმარების სახით მიიღონ შეშა/ბრიკეტი ან სხვა მასალა.

მოსარგებლე ამ პროგრამის გათვალისწინებით იღებს მატერიალურად **2მ³** შეშას ან შესაბამისი

1. ცალკეულ შემთხვევაში მერის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირები.

7. **აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების 2020 წლის მუნიციპალური პროგრამა**

პროგრამის მიზანია აუტისტური სპექტრის აშლილობების და ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების მკურნალობა, სოციალური კომუნიკაციის ხელშეწყობა, ადაფტაციური უნარების განვითარება და მათი ოჯახების მხარდაჭერა.

პროგრამით მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე 2 - დან 18 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD_10) განვითარების ზოგადი აშლილობების დიაგნოზი (ბავშვთა აუტიზმი (F84.0), ატიპური აუტიზმი (F84.1), ასპერგერის სინდრომი (F84.5), განვითარების ზოგადი აშლილობა (F84.9)).

პროგრამა ხორციელდება აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე 2 - დან 18 წლის ასაკის ჩათვლით პირებზე;
მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს წერიწადში ერთხელ არა უმეტეს 4620 ლარისა;

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად განკარგულების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

3.მომხსენებელი: თეიმურაზ აფრასიძემ ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის თაობაზე '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის07 ნოემბრის №71 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2020 წლის სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების; რეგ ფონდიდან დაფინანსების ლიმიტი გაიზარდა1733219 ლარიდან 2166523 ლარამდე, რეგ ფონდიდან უნდა განხორციელებულიყო 5 პროექტი, ხოლო გაზრდის შემდგომ ზემოთ აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში რეგ ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება 8 პროექტი.

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად განკარგულების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

4.მომხსენებელი: თეიმურაზ აფრასიძემ ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის №62 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 07 ნოემბრის №71 08 განკარგულებაში თანდართული რედაქციით: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის

თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 ნოემბრის №514 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების ფარგლებში, 2020 წელს დასაფინანსებებლი პროექტები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) სოფ მაშავერაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (900 გრძ.მ) (19 ქულა).

ბ) დმანისის მუნიციპალიტეტ სოფელ კაკლიანში (აზერბაიჯანული) ცენტრალური გზიდან სარიტუალო დარბაზამდე მისასვლელი გზის მოწყობა (570 გრძ.მ) (18 ქულა).

გ) აძამლოს ახალ სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობა (500 გრძ.მ) (15 ქულა).

დ) სოფ დაგარახლოს სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (850 გრძ.მ) (13 ქულა)

ე) სოფ კიზილაჯლოს შიდა გზების რეაბილიტაცია (სასაფლაომდე მისასვლელი გზა) (1165 გრძ.მ) (13 ქულა) .

ვ) სოფ ბაზაქლოში შიდა გზის მოწყობა (500 გრძ.მ) (13 ქულა).

ზ) სოფ. ველისპირის წყალმომარაგებისთვის ჭაბურღილის და ახალი რეზერვუარის მშენებლობა (13 ქულა)

თ) სოფ. დაგარახლოს წყალმომარაგებისთვის ჭაბურღილის მშენებლობა (13 ქულა).

2. ნება დაერთოს დმანისის მუნიციპალიტეტს მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორცელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) 2020 წლის დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსებისათვის საჭირო სახსრები;

ბ) პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემთხვევაში.

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად განკარგულების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

საკრებულოს თავმჯდომარე **მერაბ ოქრიაშვილი**

სხდომის მდივანი ლომა გადრანი